



## სს ბაზისბანკი

ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის 1  
ტელ: +995 322 922 922  
[www.basisbank.ge](http://www.basisbank.ge)

პილარ 3-ის მიხედვით ინფორმაციის გამჟღავნება

2017 წლის ანგარიში



## სარჩევი

დოკუმენტის შინაარსი.....	3
მენეჯმენტის განცხადება.....	3
ბანკის ძირითადი მაჩვენებლები.....	8
ბანკის ჯგუფის სტრუქტურა.....	13
ბანკის მმართველობითი ორგანოები .....	16
რისკების მართვა და სტრატეგია.....	21
ანაზღაურების პოლიტიკა .....	31
აქციებზე დაფუძნებული კომპენსაცია.....	32



## დოკუმენტის შინაარსი

სს ბაზისბანკის პილარ 3-ის ანგარიშგება ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის პილარ 3-ის გამჭვირვალობის მოთხოვნებსა და ევროკავშირის N 575/2013 დირექტივის მოთხოვნებს, რომლის შესაბამისი მოთხოვნები შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“. ამ დოკუმენტის მიზანია ჯგუფის კაპიტალისა და ლიკვიდობის პოზიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ შემუშავებული ბაზელ III-ის მოთხოვნების შესაბამისად.

## მენეჯმენტის განცხადება

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის აპრილის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს. არსებული რეგულაცია არ ითხოვს პილარ 3-ის ფარგლებში გამჟღავნებული ინფორმაციის აუდიტს.

## ბაზელ 3-ის ჩარჩოზე დაფუძნებული საზედამხედველო მოთხოვნები

ბაზელ 3 – ის მოთხოვნები და მათი გამოყენება

2013 წელს ძალაში შევიდა სებ-ის მიერ დამტკიცებული კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება, რომელიც ეფუძნება „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩო-დოკუმენტით, ე.წ. ბაზელ 3-ით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციებსა და 2013/36/EU დირექტივებს.

კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით", რომლის თანახმადაც დადგენილი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები ეფუძნება სამ „პილარს“: პილარ 1 - საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები, პილარ 2 - საზედამხედველო განხილვისა და კაპიტალის შეფასების პროცესი, დამატებითი კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესი; პილარ 3 - კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის გამჟღავნება.

პილარ 1-ის მარეგულირებელი ჩარჩო განსაზღვრავს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებს ღირებულებას და ადგენს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკის პოზიციებზე მიხედვით.

პილარ 1-ის ფარგლებში, კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი - 4.5%;

პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი - 6%;

საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 8%;



ძირითადი პირველადი კაპიტალის მოთხოვა შეადგენს 4.5%, რომელიც წარმოადგებს კაპიტალის პირველ წყაროს, ანუ სააქციო კაპიტალს, რომელიც მოიცავს - ჩვეულებრივ აქციებს და დამატებით რეზერვებს (დამატებითი სახსრები, რომლებიც წარმოიქმნება ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების ემისიით; და აკუმულირებულ რეზერვებს/ გაუნწილებელ მოგებას) საზედამხედველო კორექტირებების გამოკლებით. იხილეთ ცხრილი 1.

დამატებითი პირველადი კაპიტალი - წარმოადგენს არაუზრუნველყოფილ, უვადო კაპიტალის ინსტრუმენტებს, რომლებსაც არ გააჩნია ზრდადი საპროცენტო განაკვეთი, სუბორდინირებულია დეპოზიტორების, არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისა და კომერციული ბანკის სუბორდინირებული ვალის მიმართ და მასზე არ ვრცელდება რაიმე სახის იურიდიული ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნას უპირატესობას ანიჭებს კომერციული ბანკის კრედიტორებთან მიმართებაში და ბანკი ინარჩუნებს დივიდენდის/კუპონის გადახდის შეჩერების უფლებამოსილებას. ასეთ პირველადი კაპიტალით, საზედამხედველო კორექტირებების გათვალისწინებით, უნდა გადაიფაროს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მინიმუმ 6%.

მეორადი კაპიტალი - მოიცავს გარკვეული სახის სუბორდინირებულ ინსტრუმენტებს, არაუზრუნველყოფილ ფასიან ქაღალდებს, გრძელვადიან ვალდებულებებს, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 5 წელს, არ გააჩნია ზრდადი საპროცენტო განაკვეთი, არ შეიცავს ისეთ პირობებს, რომელმაც შეიძლება დაასტიმულიროს ინვესტორის უფლება დააჩქაროს მომავალი გადახდები (კუპონი ან ძირითანხა), გარდა გაკოტრებისა და ლიკვიდაციის შემთხვევებისა.

მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნები და დამატებითი ბუფერები

პილარ 1-ის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებთან ერთად ეროვნული ბანკის აწესებს დამატებით მოთხოვნებს კაპიტალის ბუფერებზე პილარ 1-სი და პილარ 2-ის ფარგლებში

პილარ 1 ის მიხედვით სებ-ის რეგულაციებით დაწესებულია კაპიტალის კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა, რომელიც შედგება სამი კომპონენტისგან:

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი არის სტანდარტული ბუფერი, რომელიც წარმოადგენს რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციების 2.5%-ს და მისი მიზანია გადაფაროს ისეთი სახის რისკები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სტრესის შემთხვევაში
- კონტრციკლური ბუფერი - ის მაკროპრუდენციული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტია. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის დადგენისას გაითვალისწინება ისეთი ფაქტორების ანალიზი, როგორებიცაა სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის შესაბამისი ინდიკატორები სხვა მაკროეკონომიკური გარემოს მახასიათებლები.
- სისტემურობის ბუფერი - ეროვნული ბანკის მიერ სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული კაპიტალის დამატებითი მოთხოვნა,

2017 წლის მდგომარეობით BB კაპიტალის კონსერვაციის ბუფერმა შეადგინა 24,507 ათასი ლარი, კონტრციკლური ბუფერი ეროვნული ბანკის მიერ განისაზღვრა 0%-იანი ლიმიტით, ხოლო რაც შეეხება სისტემურობის ბუფერებს BB ეროვნული ბანკის მიერ არ მიიჩნევა სისტემური მნიშვნელობის



მქონე ბანკად ამიტომ სისტემურობის კაპიტალის ბუფერის განაკვეთი BB-სთვის განისაზღვრება 0%-ით.

პილარ 2 - მოიცავს საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესს, რომლის ფარგლებში ეროვნული ბანკი განიხილავს კომერციული ბანკების მიერ დანერგილი რისკების მართვის შესაბამის ღონისძიებებს, სტრატეგიების, პროცესებისა და მექანიზმების და მათ შესაბამისობას ბანკის რისკის პოზიციებთან; კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების შესრულებასთან ერთად, კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას კაპიტალის დამატებითი ბუფერის მოთხოვნები იმ რისკებისათვის, რომელსაც არ მოიცავს პილარ 1 (მათ შორის, იმ საბაზრო რისკებისთვის, რომელიც არ შეიძლება პილარ 1-ში, ასევე კონცენტრაციის რისკებისთვის, საპროცენტო, ლიკვიდობის, სტრატეგიული და რეპუტაციის რისკებისთვის და სხვა).

პილარ 2-ის მოთხოვნები განსაზღვრავს შემდეგ ბუფერებს:

- არაპეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი, რომელიც შედგება სახელობითი კონცენტრაციისა და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებისგან;
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი – საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით დაწესებული ბუფერი;
- წმინდა GRAPE ბუფერი – ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის რისკის კატეგორიების შეფასებისა და ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შედეგების განხილვის ფარგლებში დაწესებული ბუფერი;

შენიშვნა - 2017 წლის დეკემბრის თვიდან ეროვნული ბანკის მიერ კაპიტალის კოეფიციენტის დათვლაში „სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები“ აღარ მონაწილეობს რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების გაანგარიშებაში. აღნიშნული პოზიცია აისახა კაპიტალის ბუფერის მოთხოვნებში პილარ 2-ის ფარგლებში.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კაპიტალის მაჩვენებლები. შედარების მიზნით 2016 წლის დეკემბრის თვის მონაცემი წარმოდგენილია როგორც „სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები“-ის გარეშე (\*) ასევე მისი გათვალისწინებით,

სს ბაზისბანკის კაპიტალის პოზიცია 2017 წლის მდგომარეობით:



ცხრილი 1

<b>კაპიტალის ადეკვატურობა</b>	<b>2017</b>
	<b>პილარ 1/2</b>
ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	16,096,897
დამატებითი სახსრები ჩვეულებრივ აქციებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	75,284,048
სხვა რეზერვები	74,131,460
მიმდინარე წლის მოგება	19,587,851
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებამდე</b>	<b>185,100,255</b>
ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები	-9,462,731
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი</b>	<b>175,637,524</b>
<b>დამატებითი პირველადი კაპიტალი</b>	<b>0</b>
საერთო რეზერვები საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების მაქსიმუმ 1.25%-ის ოდენობით	11,389,547
<b>მეორადი კაპიტალი</b>	<b>11,389,547</b>
<b>სულ საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>187,027,072</b>
<b>სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები</b>	<b>980,272,025</b>
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი</b>	<b>17.92%</b>
<b>საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი</b>	<b>19.08%</b>

2017 წლის მონაცემებზე დაყრდნობით საზედამხედველო კომპონენტების კორექტირება ხდება შემდეგი ელემენტებით:

- აქტივების გადაფასების რეზერვით 8,602 ათასი ლარი
- არამატერიალური აქტივით თანხით 861 ათასი ლარი,

ბანკს ინვესტიციები აქვს განხორციელებული სამ კომპანიაში რომელთა აღრიცხვა ხდება სრული კონსოლიდაციით.

1. სადაზღვევო კომპანია ჰუალინგ დაზღვევა ეს მნიშვნელოვანი ინვესტიცია კაპიტალში ექვემდებარე ლიმიტირებულ აღიარებას, ინვესტიციის ღირებულება არ აჭარბებს მნიშვნელოვანი ინვესტიციის 10%-იანი ზღვარს, ამიტომ არ ხდება ამ ელემენტით კაპიტალის შემცირება.
2. აქტივების მართვის კომპანია "ბაზის ესეტ მენეჯმენტი-ჰოლდინგი" კაპიტალში აღიარდება როგორც ძირითადი პირველადი კაპიტალის მაკორექტირებელი კომპონენტი
3. სს ბი ეჩ ელ ლიზინგი ეს ინვესტიცია კაპიტალში ექვემდებარე ლიმიტირებულ აღიარებას, ინვესტიციის ღირებულება არ აჭარბებს მნიშვნელოვანი ინვესტიციის 10%-იანი ზღვარს, ამიტომ არ ხდება ამ ელემენტით კაპიტალის შემცირება

პილარ 3-ის მიხედვით ინფორმაციის გამჟღავნება

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N 92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების



წესის" მიხედვით, კომერციული ბანკები ვალდებული არიან გაამჟღავნონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, უმაღლესი მენეჯმენტის ანაზღაურებისა და სხვა მატერიალური საკითხების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების წესი ასევე მოიცავს კორპორაციული და რისკების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც, თავის მხრივ, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის გამჭვირვალობის პრინციპებს ეფუძნება.



## ბანკის ძირითადი მაჩვენებლები

ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებასა და საზედამხედველო მიზნებისათვის მომზადებულ ანგარიშგებებს შორის კავშირი

### ცხრილი 2

აქტივები (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო ღირებულებები	საბალანსო ღირებულებები ფასს-ის მიხედვით საზედამხედველო მიზნებისთვის გამოყენებული კონსოლიდაციის დონეზე (ინდივიდუალური ფინანსური	საბალანსო ღირებულებები ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	139,576,796	139,576,796	140,923,310
სავალდებულო მინ. რეზერვი სებ-ში	130,823,564	130,823,564	130,823,564
სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები	15,093,699	15,093,699	15,093,699
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	757,873,894	757,873,894	742,239,032
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	62,705	62,705	62,705
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	-	8,096,650	4,300,000
ობლიგაციები ამორტიზირებული ღირებულებით	143,903,758	143,903,758	143,652,483
საინვესტიციო ქონება	1,078,042	399,822	-
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	217,186	182,793	192,356
სხვა ფინანსური აქტივები	1,428,937	1,428,937	656,332
სხვა აქტივები	16,857,012	14,018,664	10,956,446
არამატერიალური აქტივები	861,076	861,076	861,076
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	21,893,404	21,887,856	22,287,678
სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები	1,928,143	1,928,143	-
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>1,231,598,216</b>	<b>1,236,138,356</b>	<b>1,212,048,680</b>
სხვა ბანკების ანაზრები	59,982,368	59,982,368	59,982,368
კლიენტთა ანაზრები	677,819,470	682,317,480	683,692,952
სხვა ნასესხები სახსრები	270,278,894	270,278,894	271,245,167
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,673,246	7,673,246	8,016,012
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	152,378	152,378	1,761,877
ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები	346,120	346,120	476,224
სხვა ვალდებულებები	1,854,062	1,854,062	1,773,832
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>1,018,106,538</b>	<b>1,022,604,548</b>	<b>1,026,948,433</b>
საწესდებო კაპიტალი	16,057,277	16,057,277	16,096,897
აქციაზე პრემია	74,923,497	74,923,497	75,284,048
გაუნაწილებელი მოგება	113,274,148	113,316,278	85,117,647
აქტივებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	850,626	850,626	
შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი	8,232,570	8,232,570	8,601,655
გადაფასების (AFS) ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი	153,561	153,561	
<b>მთლიანი კაპიტალი</b>	<b>213,491,678</b>	<b>213,533,809</b>	<b>185,100,247</b>

### რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

რეგულაციაში შესული ცვლილების გათვალისწინებით რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია წარმოადგენს სამი კომპონენტის ჯამს:



- საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია, საბაზრო რისკის და საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია.

ცხრილი 3

**რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები**

ლარებით

	2017-დეკ	2017-სექ
საკრედიტო რისკი მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	903,928,850	812,065,321
საბალანსო ელემენტები	849,789,991	766,098,982
გარესაბალანსო ელემენტები	54,138,859	45,966,339
კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	0	0
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	748,685	1,059,137
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	75,594,490	57,595,802
სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	980,272,025	870,720,260

შენიშვნა - მეოთხე კვარტალი მესამე კვარტალთან შედარებით საკრედიტო რისკის პოზიციის მკვეთრი კლება გამოწვეულია რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების დათვლის მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებით,

**საკრედიტო რისკის ანალიზი**

არსებული რეგულაციის თანამხად, საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების დასათვლელად ბანკი იყენებს სტანდარტიზებულ მიდგომას.

საკრედიტო რისკის პოზიცია შედგება სამი კომპონენტისგან: საბალანსო ელემენტები, გარესაბალანსო ელემენტები და კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები.

**საბალანსო ელემენტებისთვის რისკის პოზიციის ღირებულება** არის სპეციალური რეზერვით და კაპიტალის კორექტირებით შემცირებული ძირითად თანხას დამატებული პროცენტი, ჯარიმა, დებიტორული დავალიანება და მხარის მიმართ ნებისმიერი სხვა სახის მოთხოვნები.

საკრედიტო რისკის პოზიციის გაანგარიშებაში სს ბაზისბანკი იყენებს შემდეგი ნებადართული მეთოდებს:

- კომერციული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, ნაცვლად არაუზრუნველყოფილი სესხების რისკის წონისა, გაითვალისწინება 75%-იანი შეწონილი რისკით;
- საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები შეიწონება 35% იანი რისკის წონით, რითაც ხდება იმ პოზიციების ჩანაცვლება, რომლებიც შეიწონება არაუზრუნველყოფილი რისკის წონით
- საკრედიტო რისკის მიტიგაცია;
- სშგი-ს მიერ დადგენილი რეიტინგების გამოყენება;
- საოპერაციო რისკების ძირითადი ინდიკატორის მეთოდი.



**გარესაბალანსო ელემენტების რისკის პოზიციის ღირებულება** არის სპეციალური რეზერვით შემცირებული მათი ღირებულება გამრავლებული კრედიტ-კონვერსიის ფაქტორზე, საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვასთან დაკავშირებული გარესაბალანსო ელემენტების საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის ეფექტი 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 20,002 ათას ლარს, იხილეთ დანართი 1 - ცხრილი 8.

**კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები** - კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი არის ტრანზაქციის განხორციელებამდე კონტრაგენტის დეფოლტის რისკი. ამ მიზნებისთვის გაითვალისწინება კონტრაგენტთან დაკავშირებული მხოლოდ ის რისკები, რომელსაც მოიცავს საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის წარმოებული ინსტრუმენტები (ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ანალოგიური ხელშეკრულებებით წარმოშობილი გარესაბალანსო ვალდებულებები). თუ საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის წარმოებული ინსტრუმენტების ხელშეკრულების ვადა არ აღემატება 14 კალენდარულ დღეს, იგი არ გაითვალისწინება რისკის მიხედვით შეწონვის მიზნებისათვის. 2017 წლის ბოლოს კონტრაგენტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის პოზიცია არ იყო,

**საკრედიტო მიტიგაციის გამოყენება** - ბანკმა გააკეთა განაცხადი „კრედიტის დაფინანსებული უზრუნველყოფის“ შემთხვევაში მოახდინოს რისკის პოზიციის მიტიგაცია, მისი შემცირება უზრუნველყოფის/გარანტიის ღირებულებისა და საკრედიტო შეფასების წონის გათვალისწინებით, ბანკს უფლება აქვს მოვალის დეფოლტის შემთხვევაში, მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული აქტივების დროული რეალიზაცია და/ან დასაკუთრება. ამ მიზნებისათვის ნებადართულია რისკის პოზიციის გაქვითვა მხოლოდ კლიენტის დეპოზიტზე განთავსებული სახსრებით. შესაბამისად, ბანკი კრედიტის დაფინანსებულ უზრუნველყოფად განიხილავს რისკის პოზიციას რომელიც უზრუნველყოფილია ანაბრით. ანაბარი შეიძლება იყოს როგორც მსესხებელი კლიენტის ასევე მესამე პირის. უზრუნველყოფად მიღებული ანაბარი (ან მისი ის ნაწილი რომელიც გამოიყენება უზრუნველყოფად) თავისუფალი უნდა იყოს სხვა ვალდებულებებისაგან. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო მიტიგაციამ შეადგინა 126,295 ათასი ლარი, იხილეთ დანართი 1 - ცხრილი 12.

მიტიგაციის მეორე ფორმა რაზეც ბანკს მარეგულირებელი ორგანოდან თანხმობა აქვს მიღებული არის კრედიტის დაუფინანსებელი უზრუნველყოფა. კრედიტის დაუფინანსებელ უზრუნველყოფაში შედის მესამე პირის გარანტია. მიტიგაციის მიზნებისთვის გამოიყენება მხოლოდ ისეთი კონტრაგენტებისგან მიღებული გარანტიები, რომელთა მიმართაც მოთხოვნების რისკის წონა ნაკლებია მათ მიერ უზრუნველყოფილი პირობითი და უპირობო მოთხოვნების რისკის წონაზე.

**საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების შეფასება**

ეროვნული ბანკის რეკომენდაციით შემდეგი ორგანიზაციების შეფასებები შეიძლება აღებულ იქნას როგორც სშგი საკრედიტო შეფასება: Moody's, Fitch, Standard&Poors

აღნიშნული ორგანიზაციების შეფასებები 6 ბიჯიან შკალას შესაბამეა შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

საკრედიტო ხარისხის შეფასების 6 ბიჯიანი შკალა			
	Fitch	Moody's	S&P
1	AAA to AA-	Aaa to Aa3	AAA to AA-
2	A+ to A-	A1 to A3	A+ to A-



3	BBB+ to BBB-	Baa1 to Baa3	BBB+ to BBB-
4	BB+ to BB-	Ba1 to Ba3	BB+ to BB-
5	B+ to B-	B1 to B3	B+ to B-
6	CCC+ და უფრო დაბალი	Caa1 და უფრო დაბალი	CCC+ და უფრო დაბალი

მოკლევადიანი შეფასებისათვის შეფასებების გამოყენება მოხდება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

საკრედიტო ხარისხის შეფასების 6 ბიჯიანი შკალა			
	Fitch	Moody's	S&P
1	F1+, F1	P-1	A-1+, A-1
2	F2	P-2	A-2
3	F3	P-3	A-3
4	უფრო დაბალი, ვიდრე F3	NP	B-1, B-2, B-3, C
5			
6			

### საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

პილარ 1-ის ფარგლებში საბაზრო რისკში ჩაითვლება მხოლოდ სავალუტო რისკი. სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული რისკის პოზიცია უდრის „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესით“ განსაზღვრულ კრებსით საერთო ღია სავალუტო პოზიციას.

სავალუტო რისკი წარმოიქმნება ღია და არასათანადოდ ჰეჯირებულ პოზიციებზე კონკრეტულ ვალუტაში გაცვლითი კურსების მოულოდნელი მოძრაობის შედეგად (რაც იწვევს ბაზრის მონაწილის შესაძლო შიდა ან ანგარიშგების ვალუტის ზარალს).

სავალუტო პოზიციების მართვა ხდება ბანკის მენეჯმენტის სავალუტო პოლიტიკის შესაბამისად. ვალუტის მართვის პოლიტიკა მოიცავს ყოველდღიური პოზიციების ლიმიტს და ერთობლივი ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტს, რომელიც შეადგენს საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს, რომელიც უფრო მკაცრია, ვიდრე ვიდრე სებ-ის მიერ დაშვებული ლიმიტი (20%-ი ლიმიტი ღია სუფთა პოზიციისათვის).

### საოპერაციო რისკის ანალიზი

პილარ 1-ის ფარგლებში კაპიტალის მოთხოვნა გამოიანგარიშება ძირითადი ინდიკატორის მეთოდის მიდგომის მეშვეობით. ძირითადი ინდიკატორის მეთოდით საოპერაციო რისკის კაპიტალის მოთხოვნა უნდა შეადგენდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი ინდიკატორის 15%-ს, რომელიც განისაზღვრება, როგორც წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამის საშუალო მაჩვენებელი ბოლო სამი წლის მანძილზე.



ცხრილი 4

ინფორმაცია საოპერაციო რისკების ძირითადი (საბაზისო) ინდიკატორის მეთოდის მიზნებისათვის გამოყენებულ შემოსავლებზე					
	a	b	c	d	e
	2016	2015	2014	წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამის საშუალო მაჩვენებელი ბოლო სამი წლის მანძილზე	საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
წმინდა საპროცენტო შემოსავლები	38,022,966	34,868,822	25,186,668		
მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები	9,027,024	7,550,871	6,439,932		
მითითებული გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)	57,913	31,201	55,983		
<b>მთლიანი შემოსავალი (1+2-3)</b>	<b>46,992,077</b>	<b>42,388,492</b>	<b>31,570,618</b>	<b>40,317,062</b>	<b>75,594,491</b>

მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ანგარიშობს კაპიტალის მოთხოვნებს BIA-ს მიდგომის გამოყენებით, საოპერაციო რისკების შეფასების და მართვის პროცესში, ბანკი გამოიყენებს სხვა ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებსაც, რაც უზრუნველყოფს საოპერაციო რისკების უფრო კომპლექსურ და ეფექტურ მართვას. ოპერაციული რისკის საქმიანობა რეგულირდება საოპერაციო რისკების მართვის დებულებით.

გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები:

- **დანაკარგების და მიღებული ზარალების შესახებ მონაცემთა შეგროვება:** დაფიქსირებული დანაკარგების შეგროვება ბიზნეს-ერთეულების მონაწილეობით (დეცენტრალიზირებულ მონაცემთა შეგროვება);
- **თვით-შეფასება:** შესაძლებელი დანაკარგების შეფასება ბიზნეს-ერთეულების მონაწილეობით; (მიღებული ზარალების სიხშირის და სიმძიმის შეფასება)
- **რისკის შემცირების სათანადო ზომების განსაზღვრა** - მიღებული დანაკარგებისა და თვით-შეფასებით მიღებული ანალიზის საფუძველზე.

ბაზისბანკის საოპერაციო რისკის მართვა არსებობს სამ დონეზე (ბიზნეს-ერთეული/დეპარტამენტის დონე, საოპერაციო რისკის მართვის დონე, აუდიტის დონე), რაც უზრუნველყოფს საოპერაციო რისკის მუდმივ კონტროლს.

საოპერაციო რისკების დეპარტამენტი ყველწლიურად ახდენს ძირითადი ინდიკატორის მეთოდით განსაზღვრული მოთხოვნილი კაპიტალის შეფასებას და მიღებული და შიდა შეფასების შედეგად მიღებული საპროგნოზო ზარალების გადაფარვის დონეს. თუ საოპერაციო რისკების მართვა თვლის, რომ BIA-მ სათანადოდ ვერ გადაფარა პოტენციური დანაკარგები, დამატებითი კაპიტალი გამოიყოფა საოპერაციო რისკების მართვის მოთხოვნის საფუძველზე.

ცხრილი 5

ინფორმაცია საოპერაციო დანაკარგების მოცულობის შესახებ			
	2017	2016	2015
დანაკარგების მთლიანი მოცულობა	15,504	50,200	53,769
დანაკარგების მთლიანი მოცულობა, რომლებიც აღემატება 10,000 ლარს	-	37,712	38,693
მოვლენების რაოდენობა, რომელთა დანაკარგიც აღემატება 10,000 ლარს	-	2	1
5 უმსხვილესი დანაკარგის საერთო მოცულობა	10,779	42,528	47,244

ლიკვიდობის რისკი



ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კაპიტალის სტანდარტების პარალელურად სებ-მა დანერგა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR – Liquidity Coverage Ratio), რომლის მიზანია, კომერციული ბანკი ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის საჭიროა, ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში. გარდა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისა, კომერციული ბანკების ლიკვიდობა რეგულირდება საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტის საშუალებითაც, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივებისა და საანგარიშგებო თვის საშუალო ვალდებულებების შეფარდებას.

ქვემოთ ცხრილში მითითებული ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის მაჩვენებელი 2017წლის დეკემბრის მდგომარეობით,

თანხა მითითებულია ათას ლარში

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR)	დეკ-2017
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	364,003
ფულის წმინდა გადინება (სულ)	256,930
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	142%

### ბანკის ჯგუფის სტრუქტურა

სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკი" (შემდგომ ტექსტში "ბანკი") დაფუძნებულია 1993 წლის 16 აგვისტოს, რეგისტრირებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1993 წლის 04 ნოემბერს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ბანკი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფლობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ ლიცენზიას საბანკო საქმიანობაზე (1993 წლის 4 ნოემბერი, ლიცენზიის #173. ბანკის იურიდიული მისამართია: 0103 საქართველო, თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #1.

ბანკი არის უნივერსალური საბანკო დაწესებულება, რომლის საქმიანობის საგანს წარმოადგენს საბანკო და მასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### აქციონერთა სტრუქტურა

2012 წლიდან ჯგუფის აქციების უმრავლესობის მფლობელი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ხინჯიანგ ჰუალინგ ინდუსტრე & თრადე (გროუპ) კო ლტდ. და ბანკის საბოლოო მაკონტროლებელი პირია ბ-ნი მი ენჰუა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერთა სია:

#### საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით

შპს "Xinjiang HuaLing Industry & Trade (Group) Co" 92.08%

მი ზაიქი 6.95%

#### ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს წილების მითითებით

მი ენჰუა 91.99%



სს „ბაზისბანკის“ აქციონერთა უფლებებს და მოვალეობებს განსაზღვრავს ბანკის წესდება. ბანკის ჩვეულებრივი აქციების მფლობელ აქციონერს უფლება აქვს: მიიღოს სრული და დროული ინფორმაცია საერთო კრების ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით; მიიღოს მონაწილეობა ბანკის მართვაში, აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის გზით. განახორციელოს აქციონერთა კრებაზე ხმის უფლება; მიიღოს დივიდენდები; შეიძინოს ან გაასხვისოს საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობისა შესაბამისად; საწესდებო კაპიტალში თავისი წილის პროპორციულად გამოიყენოს უპირატესი შესყიდვის უფლება ახალ აქციებზე;

### **აქციონერთა საერთო კრება**

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელში მონაწილეობის გზით აქციონერი ახორციელებს ბანკში თავისი მონაწილეობის საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით განსაზღვრულ უფლებებს. აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას.

აქციონერთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას:

- ✓ წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
- ✓ ბანკის აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გატანის შესახებ;
- ✓ ბანკის აქციებისა და სხვა საკუთარი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის წესების შესახებ;
- ✓ ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს, ამტკიცებს მის (მათ შორის საბჭოს კომიტეტ(ებ)ის) ბიუჯეტს;
- ✓ ბანკის წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ;
- ✓ გადაწყვეტილებას ბანკის კაპიტალის ზრდის/შემცირების შესახებ;

აქციონერთა მორიგი საერთო კრების სხდომა ტარდება წელიწადში ერთხელ გასული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის მომზადებიდან არაუგვიანეს ორი თვის განმავლობაში, რომელიც თავის მხრივ უნდა მომზადდეს წლის დასრულებიდან ოთხი თვის განმავლობაში.

აქციონერთა საერთო კრების რიგგარეშე სხდომა მოიწვევა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, დირექტორატის ან აქციათა მინიმუმ 5 %-ის მფლობელი აქციონერის მოთხოვნით.



## ბანკის ჯგუფის სტრუქტურა - ბანკის შვილობილი საწარმოები

---

### სს ჰუალინგ დაზღვევა

---

დაფუძნდა 2017 წელს, დამფუძნებელი და 100% იანი წილის მფლობელი სს „ბაზისბანკი“.

კომპანიის საქმიანობა :

სადაზღვევო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

კომპანიის მართველობითი ორგანო:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - მი ზაიქი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები: დავით ცაავა, ლი ხვეი

გენერალური დირექტორი - დავით კაკაბაძე

გენერალური დირექტორის მოადგილეები: ლია ასლანიკაშვილი, ლევან გარდაფხაძე

---

### სს ბი ექ ელ ლიზინგი

---

დაფუძნდა 2017 წელს, დამფუძნებელი და 100% იანი წილის მფლობელი სს „ბაზისბანკი“.

კომპანიის საქმიანობა : სალიზინგო საქმიანობის წარმოება

კომპანიის მართველობითი ორგანო:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - მი ზაიქი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები: დავით ცაავა, ლი ხვეი

გენერალური დირექტორი - ლია ასლანიკაშვილი გენერალური

დირექტორის მოადგილეები: ლევან გარდაფხაძე, დავით კაკაბაძე

---

### შპს "ბაზის ესეტ მენეჯმენტი-ჰოლდინგი"

---

აღნიშნულ კომპანიის დამფუძნებელია 2012 წლის 27 თებერვალს და 100% წილის მფლობელი არის სს „ბაზისბანკი“.

კომპანიის საქმიანობა : უძრავი და მოძრავი ქონების მართვასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება.

კომპანიის მართველობითი ორგანო:

დერექტორი: ზაზა რობაქიძე

---

კონსოლიდაცია საწარმოების მიხედვით



კომპანიის დასახელება	სააღრიცხვო კონსოლიდაციის მეთოდი	საზედამხედველო კონსოლიდაციის მეთოდი			
		სრული კონსოლიდაცია	პროპორციული კონსოლიდაცია	არც კონსოლიდირებული და არც დაქვითული	დაქვითული
სს "ჰუალინგ დაზღვევა"	სრულად კონსოლიდირებული			x	
შპს "ბაზის ესეტ მენეჯმენტი-ჰოლდინგი"	სრულად კონსოლიდირებული				x
სს ბიეიჩ ელ ლიზინგი	სრულად კონსოლიდირებული			x	

2017 წლის მდგომარეობით საზედამხედველო მიზნებისთვის ბანკის შვილობილი საწარმოები არ კონსოლიდირდება ბანკის ფინანსურ ანგარიშებში, არამედ შეიწონება რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებში 250% რისკის წონით.

### ბანკის მმართველობითი ორგანოები

ბანკის მართვის სტაბილური ფუნქციონირებისათვის გამიჯნულია უფლებამოსილება ბანკის საზედამხედველო, აღმასრულებელსა და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის, რომელთა ფუნქციები სრულად უზრუნველყოფენ ბანკის მართვას.

ბანკის მმართველობითი ორგანოებია:

- ✓ სამეთვალყურეო საბჭო;
- ✓ დირექტორატი;
- ✓ შიდა აუდიტის სამსახური

სს „ბაზისბანკის“ კორპორაციულ მართვას არეგულირებს შემდეგი დოკუმენტები:

- ბანკის წესდება;
- კორპორატიული მართვის პრინციპების შესახებ დებულება;
- კორპორატიული ეთიკის შესახებ დებულება;
- შინაგანაწესი;
- სამეთვალყურეო საბჭოს დებულება;
- დირექტორატის დებულება;
- აუდიტის კომიტეტის დებულება;

### სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ, იგი ახორციელებს ბანკის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას, იღებს გადაწყვეტილებებს ბანკის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, ზედამხედველობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და თავისი საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 წევრისაგან. აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ 4 წლის ვადით, მათი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი აქციონერთა საერთო



კრების მოწვევამდე. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. საბჭოს წევრის ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს.

სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც საბჭო ხმათა უბრალო უმრავლესობით, თავისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს 4 წლის ვადით.

სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს ორი თანათავმჯდომარე, რომელთაც საბჭო ხმათა უბრალო უმრავლესობით, თავისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს 4 წლის ვადით.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება სულ ცოტა წელიწადში ოთხჯერ. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს საბჭოს წევრთა პირადი დასწრებით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

საბჭო უფლებამოსილია:

- ✓ განსაზღვროს ბანკის საქმიანობის პოლიტიკა, მიიღოს და დაამტკიცოს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები;
- ✓ დაამტკიცოს დირექტორატის მიერ მომზადებული სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ დაამტკიცოს ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა, პოლიტიკები;
- ✓ აქციონერთა საერთო კრების თანხმობის შემთხვევაში დანიშნოს გენერალური დირექტორი, დირექტორატის სხვა წევრები, განსაზღვროს დირექტორატის ყველა წევრის ხელფასისა და პრემიის ოდენობა;
- ✓ დაამტკიცოს ბანკსა და ბანკის ადმინისტრატორებს შორის, აგრეთვე ბანკსა და ბანკის 5%-ზე მეტი აქციების მქონე აქციონერებს შორის დადებული გარიგებები, აკონტროლოს ინტერესთა კონფლიქტის ნორმათა დარღვევით დადებული გარიგებები;
- ✓ აკონტროლოს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დირექტორატისადმი მიცემული რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინება;
- ✓ დირექტორატისგან მიიღოს ბანკის მდგომარეობის ამსახველი პერიოდული ანგარიშგება;
- ✓ დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის სამუშაო განრიგი, მისი სამუშაო გეგმა, ბიუჯეტი, დანიშნოს სამსახურის უფროსი, განსაზღვროს სამსახურის თანამშრომლების ხელფასებისა და პრემიების ოდენობა;
- ✓ განიხილოს და დაამტკიცოს დირექტორატის მიერ წარმოდგენილი ბანკის საქმიანობის წლიური გეგმა, წლიური ბიუჯეტი, აკონტროლოს მათი შესრულება, განიხილოს დირექტორატის მიერ წარმოდგენილი პერიოდული ფინანსური ანგარიშები;
- ✓ დანიშნოს ბანკის გარე აუდიტორი და მოითხოვოს მათგან უშუალო ანგარიშგება, მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება.

### სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

ჰან ძუნი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
	მინიჭებული აქვს MBA ხარისხი. 2010 წლიდან ის მოღვაწეობდა შპს „ქსინჯიანგ ჰუალინგ სავაჭრო ჯგუფის კომპანიაში“ გენერალური მმართველის პოზიციაზე ფინანსების და საგარეო ინვესტირების განხრით. 1998-2010 წწ-ში მუშაობდა გაყიდვების დეპარტამენტის გენერალური მენეჯერის პოზიციაზე, სამეთვალყურეო საბჭოს ასისტენტად, ადამიანური რესურსების მართვის დირექტორის პოზიციაზე ურუმჩის კომერციულ ბანკში. 1992-1997 წწ-ში მუშაობდა ჩუნცინის ურუმჩის „Credit Union“-ში. ბატონი ჰანი მოღვაწეობდა Top მენეჯმენტის



	<p>პოზიციებზე ჩინეთის სახალხო ბანკის ურუმჩის ფილიალში, ურუმჩი სითი კომერციულ ბანკში და სხვა ფინანსურ დაწესებულებებში მრავალი წლის განმავლობაში. მას გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება კომერციული ბანკების საქმიანობის და მართვის სფეროში.</p> <p>იგი ფლობს საფუძვლიან, მკაფიო წარმოდგენას სამუშაო და მცირე ზომის კომერციული ბანკების განვითარების სტრატეგიაზე</p>
<b>ჟუ ნინგ</b>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე</p> <p>მას მინიჭებული აქვს ფუკუას ბიზნეს სკოლის MBA ხარისხი. მაგისტრის ხარისხი საინჟინრო სფეროში ვირჯინიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ბაკალავრის ხარისხი ჩინეთის მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. 2005 წლიდან მოღვაწეობდა თუ ჰონგის საერთაშორისო კომპანიაში მმართველი დირექტორის პოზიციაზე. ბატონმა ჟუმ განახორციელა რიგი ფინანსური კონსალტინგის პროექტები ურუმჩი სითი კომერციულ ბანკში, დეიანგის ბანკში, იანტაის ბანკში, ჰანგ სენგის ბანკში, ვინგ ლუნგის ბანკში, ქსიამენ ბანკში, ჰონგ-კონგის ფუბონ ბანკში, წიანცზინის ბანკში. ბატონ ჟუს აქვს მიღებული ფართომასშტაბიანი გამოცდილება სამუშაო და მცირე ზომის ბანკების განვითარების სფეროში.</p>
<b>მი ზაიქი</b>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე</p> <p>მას მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი კალიფორნიის უნივერსიტეტში. მცირე და სამუშაო საწარმოების სინგაპურის ასოციაციაში. 2011 წლიდან მუშაობდა დირექტორის მოადგილის პოზიციაზე შპს „ქსინჯიანგ ჰუალინგ სავაჭრო ჯგუფის კომპანიაში“ გენერალური მმართველის ოფისში.</p> <p>დირექტორის პოზიციას იკავებდა შპს „ქსინჯიანგ ჰუალინგ სავაჭრო ჯგუფის კომპანიაში“ გენერალური მმართველის საქართველოს ფილიალის ოფისში. 2010-2011 წწ მუშაობდა გენერალური მმართველის თანაშემწედ „ქსინჯიანგ ჰუალინგის უძრავი ქონების განვითარების კომპანიაში. 2005-2006 წწ-ში მუშაობდა გენერალური მმართველის თანაშემწედ შპს „ქსინჯიანგ ჰუალინგის გრანდ ჰოტელის“ კომპანიაში.</p>
<b>ლი ხვეი</b>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს წევრი</p> <p>დირექტორთა საბჭოს წევრი 2012 წლიდან</p> <p>სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2015 წლიდან.</p>
<b>დავით ცაავა</b>	<p>2015 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს წევრია</p> <p>დირექტორთა საბჭოს წევრია 2008 წლიდან.</p> <p>2010 წლიდან არის ბანკის გენერალური დირექტორი.</p>

### აუდიტის კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება დამოუკიდებელი წევრებისაგან. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და ბანკის გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.

კომიტეტი შედგება 3 წევრისაგან, კომიტეტის სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც.

კომიტეტი უფლებამოსილია:



- განიხილოს და შეაფასოს გარე აუდიტორის დასკვნა მისი სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრებაზე წარდგენამდე.
- სამსახურის მეშვეობით ჩაატაროს ბანკის ანგარიშგებისა და საბუღალტრო ჩანაწერების, შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და მართვის სისტემებისა და პროცესების ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასება. დაავალოს შიდა აუდიტის სამსახურს ბანკის ნებისმიერი საკითხის არაგეგმიური შემოწმების ჩატარება.
- აკონტროლოს და ამოწმოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებისა და დავალებების შესრულება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც კომიტეტის კომპეტენციაში შედის.
- სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად განიხილოს შიდააუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და დირექტორატის მხრიდან სამსახურის რეკომენდაციების უგულებელყოფის ან მაკორექტირებელი ღონისძიებების გაუტარებლობის გამო სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვოს ბანკის პასუხისმგებელი პირის თანამდებობიდან გათავისუფლება.

ამჟამად კომიტეტი შედგება ორი წევრისგან,

ზაზა რობაქიძე	კომიტეტის თავმჯდომარე
მი ზაიქი	კომიტეტის წევრი

### დირექტორატი

დირექტორატის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ბანკის ყოველდღიური მართვა და შესაბამისად ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რაც კანონმდებლობითა და წესდებით არ განეკუთვნება აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას. აგრეთვე იმ საკითხების განხილვა და მათზე წინასწარი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებზეც კანონმდებლობისა და წესდების თანახმად საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.

დირექტორატი შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან. მათგან ერთი არის გენერალური დირექტორი, რომელიც უწევს საერთო ხელმძღვანელობას დირექტორატის საქმიანობას. გენერალურ დირექტორს ნიშნავს/ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო აქციონერთა საერთო კრების თანხმობით. დირექტორატის დანარჩენ წევრებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო გენერალური დირექტორის წარდგინებით.

### გენერალური დირექტორი

ბანკის გენერალურ დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო აქციონერთა საერთო კრების თანხმობით;

- სამეთვალყურეო საბჭოსთან კონსულტაციის შედეგად ანაწილებს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს დირექტორატის წევრებს შორის;
- უზრუნველყოფს დირექტორატის გამართულ ფუნქციონირებას, კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებასა და მიღებული გადაწყვეტილებების კომპანიის სტრატეგიასთან შესაბამისობას; უწევს დირექტორატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას ზედამხედველობასა და კოორდინაციას; წარმოადგენს ბანკს მესამე პირებთან ურთიერთობაში.
- დირექტორატის წევრები;
- ხელმძღვანელობენ თავის დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს, ზრუნავენ მათ გამართულ ფუნქციონირებაზე და ბანკის სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებაზე;



- წარმოადგენენ ბანკს მესამე პირებთან ურთიერთობაში თავიანთი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ფარგლებში;
- დირექტორატის სხდომები ტარდება სულ ცოტა თვეში ერთხელ ან დირექტორატის გადაწყვეტილებით უფრო ხშირად.



<b>დავით ცაავა</b>	<b>გენერალური დირექტორი</b> დირექტორთა საბჭოს წევრია 2008 წლიდან. 2015 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს წევრია, ფლობს PhD ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. საბანკო სფეროში 13 წლიანი გამოცდილება აქვს. მუშაობდა დაკრედიტების მიმართულებით და ხელმძღვანელობდა კორპორატიული სესხების განყოფილებას წლების განმავლობაში. 2010 წლიდან არის ბანკის გენერალური დირექტორი და 2015 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2017 წლის დეკემბრიდან ასევე არის სს „ბი ეიჩ ელ ლიზინგი“-ის და სს „ჰუალინგ დაზღვევ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
<b>ლია ასლანიკაშვილი</b>	გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები დამთავრებულია აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით, ფლობს მაგისტრის ხარისხს. 18 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს საბანკო მიმართულებით. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სახაზინო და საანგარიშსწორებო მიმართულებას ბაზისბანკში. 2017 წლის დეკემბრიდან ასევე არის სს „ბი ეიჩ ელ ლიზინგის“ გენერალური დირექტორი და სს „ჰუალინგ დაზღვევის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.
<b>ლი ხვეი</b>	გენერალური დირექტორის მოადგილე .



დირექტორატის წევრი 2012 წლიდან. მინიჭებული აქვს ბაკალავრის ხარისხი საბუღალტრო აღრიცხვაში. ფინანსურ სექტორში 1993 წლიდან მოღვაწეობს, როგორც წარმატებული ბუღალტერი და საკრედიტო ოფიცერი. ის მუშაობდა ურუმჩის კომერციული ბანკის კრედიტების დამტკიცების დეპარტამენტში. შემდეგ მუშაობდა ჩუნცინის ურუმჩის დირექტორის მოადგილეს პოზიციაზე და საკრედიტო ორგანიზაციაში საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს პოზიციაზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2015 წლიდან. ის უწევს ზედამხედველობას ბანკის მსხვილი სპექტრის სესხების დამტკიცების სფეროს.

<b>დავით კაკაბაძე</b>	გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მართვა და IT დირექტორთა საბჭოს წევრია 2008 წლიდან. ფლობს მაგისტრის ხარისხის ფინანსების მიმართულებით, დამთავრებული აქვს კავკასიის ბიზნესის სკოლა. საბანკო სფეროში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება აქვს. მუშაობდა ინფორმაციული ტექნოლოგიების და რისკების მიმართულებით. 2017 წლის დეკემბრიდან ასევე არის სს „ბი ეიჩ ელ ლიზინგის“ გენერალური დირექტორის მოადგილე და სს „ჰუალინგ დაზღვევის“ გენერალური დირექტორი.
<b>ლევან გარდაფხაძე</b>	საცალო ბიზნესი  - დირექტორთა საბჭოს წევრი, გენერალური დირექტორის მოადგილე საცალო ბიზნესის მიმართულებით. ფლობს მაგისტრის ხარისხს ბიზნესის მართვის მიმართულებით. აქვს საბანკო სფეროში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება. მუშაობდა პლასტიკური ბარათების და სავალუტო განყოფილებებში სხვადასხვა პოზიციაზე. დირექტორთა საბჭოს წევრია 2008 წლიდან. 2017 წლის დეკემბრიდან ასევე არის სს „ბი ეიჩ ელ ლიზინგის“ და სს „ჰუალინგ დაზღვევის“ გენერალური დირექტორის მოადგილე

**რისკების მართვა და სტრატეგია**

ბანკის რისკების სტრატეგია - ბანკის ყოველდღიური ფუნქციონირებისათვის ბანკმა უნდა უზურუნველყოს და შეინარჩუნოს კაპიტალის შესაბამისი დონე; ამგვარად მნიშვნელოვანია რომ, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იყოს ბანკის შესაბამისი რისკის “აპეტიტი” და კაპიტალი.

ბანკის რისკების სტრატეგია გამომდინარეობს მისი ბიზნეს სტრატეგიიდან, რომელიც მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ; რისკების სტრატეგიის გადახედვა და ცვლილება ხდება ბიზნეს სტრატეგიაში მიღებული ცვლილებების კვალდაკვალ; ამავე დროს, რისკების სტრატეგიის გადახედვა და იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება ბანკის მიმდინარე რისკების პოზიციებს უნდა მოხდეს წელიწადში ერთხელ. ნებისმიერი ცვლილება რისკის სტრატეგიაში მიწოდებული და გაზიარებული უნდა იყოს ბანკის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან. რისკის მართვის პროცესებმა ხელი უნდა შეუწყოს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში რისკების სტრატეგიის განხორციელებას, შესაბამისად მენეჯმენტის ანგარიშგების სისტემამაც რისკების მართვის სათანადო მექანიზმის როლი უნდა შეასრულოს.



ბანკი აწესებს რისკების აღებისა და რისკების მართვის პრინციპებს, რომლებიც ასახულია სხვადასხვა მარეგულირებელ წესებსა და პროცედურებში, მათი დაცვა სავალდებულოა ბანკის ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის:

- რისკების აღება უნდა მოხდეს გონივრულობის ფარგლებში, რისკების შეფასებისა და კონტროლის კომპლექსური პროცედურების გამოყენებით;
- ბანკმა უნდა უზრუნველყოს რისკების მონიტორინგისა და ანგარიშების ეფექტური სისტემის დანერგვა;
- რისკების რაოდენობრივი შეფასებისას, ბანკმა უნდა გამოიყენოს მეთოდოლოგიები, რომლებიც სათანადოდ ასახავს რისკებს ბანკის მოცულობისა და ოპერაციების სირთულიდან გამომდინარე;
- ბანკმა უნდა უზრუნველყოს მარეგულირებელი მოთხოვნებისა და სახელმძღვანელო ინსტრუქციების დანერგვა და შესრულება, ასევე საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრული საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება;
- რისკების ეფექტური მართვის სისტემის გამოყენება - შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ბანკის სათანადო კონტროლი უნდა განხორციელდეს ბიზნეს-საქმიანობისგან დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ;
- ახალი საქმიანობისა და მიმართულებებისა წამოწყება, ასევე ახალი პროდუქტების დანერგვა უნდა მოხდეს თანმდევი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, შესაბამისად აუცილებელია ყველა ეტაპზე მოხდეს სათანადო სტრუქტურის ჩართვა შეფასების პროცესებში, რათა მოხდეს რისკების შეფასება და მათი მინიმიზაცია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რეკომენდაციების საფუძველზე.

რისკების სტრატეგია განისაზღვრავს ბანკის მიდგომას რისკების მართვის, მათ შორის, რელევანტური რისკების გამოვლენის, შეფასების, კონტროლის, ანგარიშგებისა და მართვის/რეგულირების ზოგადი მეთოდების მიმართ; ასევე, ადგენს რისკების მართვის სტრუქტურას და პროცესებს, რომელსაც საშუალებითაც ახდენს ყოველდღიურ პროცესების მართვას.

“ზაზისბანკს” შეიმუშავებული აქვს რისკების მართვის სისტემა, რომელსაც მთავარი მიზანია ბანკმა შეინარჩუნოს „სტაბილური და სანდო“ ბანკის იმიჯი. ფინანსური ბაზრების რყევებისა და არაპროგნოზირებადი მაკროეკონომიკური პირობების გათვალისწინებით “რისკების მართვის” ფუნქციას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. რისკების მართვის მყარი და გამართული სისტემის მთელი ბანკის მასშტაბით დანერგვა ითვალისწინებს შემდეგი ქმედებების განხორციელებას:

- რისკების მართვის დამოუკიდებელი ბლოკის ფორმირება;
- რისკების მართვის შესაბამისი პროფილის კომიტეტების (საკრედიტო კომიტეტის, რისკების მართვის კომიტეტის, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის) ჩამოყალიბება, რომლებიც რისკების მართვას ახორციელებენ სათანადო პროცესების დანერგვისა და გადაწყვეტილების მიღების სისტემის ჩამოყალიბების საფუძველზე და დაფუძნებულია რისკების მართვის საუკეთესო პრაქტიკაზე;
- რისკების მართვის მექანიზმებში, სამუშაო პროცესებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება;
- არსებული ფინანსური და მენეჯმენტის საინფორმაციო/ანგარიშების სისტემების ანალიზი;
- ბანკის სხვადასხვა სახის პოტენციური რისკების გამოვლენა და კლასიფიკაცია;



- ბანკში რისკების მართვის მარეგულირებელი პოლიტიკის, პროცედურებისა და წესების შემუშავება.

სტრატეგიულ დონეზე ჩვენი რისკის მართვის ამოცანებია:

- “ბაზისბანკის” სტრატეგიის განსაზღვრა;
- რისკებზე/უკუგებაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ოპტიმიზაცია;
- ბიზნესის ზრდასთან ერთად სათანადო რისკების მართვის ეფექტური სისტემის შენარჩუნება;
- რისკის პროფილის მართვა, სტრესულ პირობებში ბანკის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით.

ამ ამოცანების განსახორციელებად, რისკების მართვა იყოფა ხუთ განცალკევებულ პროცესად: გამოვლენა, შეფასება, კონტროლი, ანგარიშგება და მართვა/რეგულირება.

- **მენეჯმენტის მიერ რისკების ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება.** “ბაზისბანკისთვის” ეს ნიშნავს, იმას რომ შიდა კონტროლის საკვანძო საკითხები დირექტორატის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია. ასეთ საკითხებში შედის შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობის რეგულარული განხილვა მენეჯმენტთან; მენეჯმენტის, შიდა აუდიტორებისა და დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ შიდა კონტროლის მექანიზმების შეფასებების განხილვა და შიდა კონტროლის მექანიზმების სისუსტეების შესახებ აუდიტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე ოპერატიული რეაგირება; ასევე არსებული რისკ-ლიმიტების რეგულარული განხილვა, იმის დასადგენად, რამდენად შეესაბამება და ასახავს თუ არა ლიმიტები ბანკის სტრატეგიასა და რისკის პოზიციებს.
- **კონტროლის მექანიზმები და უფლება-მოვალეობათა გამიჯვნა.** ამასში შედის ბანკის პერსონალი, ყველა დონეზე, მენეჯმენტის უმაღლესი რგოლიდან დაწყებული რიგითი თანამშრომლების ჩათვლით. კონტროლის მექანიზმი ძირითადად გულისხმობს დირექტორატისა და მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების განხილვას განვლილ პერიოდზე, რათა მოხდეს მიმდინარე საქმიანობის ბანკის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად წარმართვა განყოფილებებისა და დეპარტამენტების დონეზე; მოხდეს გაწეული სამუშაოების კონტროლი; დადგენილ ფარგლებში რისკების ლიმიტების დაცვა, მონიტორინგი და დარღვევებზე
- **ინფორმაციის კონტროლი** - გულისხმობს მნიშვნელოვანი ინფორმაციის, მაგ. ფინანსური, საოპერაციო, აგრეთვე გარე საბაზრო მონაცემების აღრიცხვას და შენახვას, სათანადო საინფორმაციო ბაზების ფორმირებას, რომლებიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- **მონიტორინგის განხორციელება და მართვა.** დამოუკიდებელი შიდა აუდიტი ადგენს რამდენად ადეკვატურია არსებული პოლიტიკები და პროცედურები. შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. საბჭოსთვის მიწოდებულ ანგარიშგებში ხდება მართვის დონეების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, რაც უზურუნველყოფს ბანკის მართვის სისტემის სათანადო მუშაობას.

**ბაზისბანკის რისკების მართვის სტრუქტურა**



ბანკი ახორციელებს და იცავს კორპორატიული მართვის მაღალ სტანდარტებს - ბაზისბანკი არის საქართველოს ბანკთა ასოციაციის მიერ 2009 წელს მიღებული კომერციული ბანკების კორპორატიული კოდექსის (CG Code) ხელისმომწერი. ჩვენი საქმიანობა სეზ-ის ზედამხედველობის და რეგულაციების ფარგლებში ხორციელდება, რომელიც ეხება ბანკების ლიცენზირების, კაპიტალის ადეკვატურობის, ლიკვიდურობის და რისკის კონცენტრაციის საკითხებს; ასევე ახორციელებს ბიზნესის წარმოების, ორგანიზაციული და საანგარიშო მოთხოვნების შესრულების, რისკების მართვის რეგულირების და შიდა კონტროლის სისტემების შეფასებას.

ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა მოითხოვს მნიშვნელოვანი რისკების პერმანენტულ და რეგულარულ იდენტიფიკაციასა და შეფასებას.

სამეთვალყურეო და აღმასრულებელი საბჭო გააჩნია მკაფიო ხედვა რისკის მართვაზე და მის მნიშვნელობაზე ბანკის მდგრადი განვითარებისათვის.

**ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭო** “the tone on the top”-ს პრინციპით აწესებს კორპორატიული ეთიკის და პასუხისმგებლობის მაღალ დონეს კორპორატიული სტანდარტების დანერგვითა და გამტკიცებით; საბჭო ადგენს რისკების მართვის საერთო მიდგომებს, ასევე ამტკიცებს და ახორციელებს ბანკის სტრატეგიისა და ბიუჯეტის კონტროლს.

საკრედიტო, საოპერაციო და აქტივ-პასივების მართვის პოლიტიკების (დებულებები) საშუალებით ბანკი ახორციელებს ცალკეული რისკების შეფასებას და ანგარიშგებას როგორც შიდა, ასევე საზედამხედველო ანგარიშგების მიზნებისთვის. ამასთანავე, შედა მეთოდოლოგიები მოიცავს მაგალითად სესხების განხილვის, ფასის დადების, დამტკიცების და შესაბამისი კაპიტალის შეფასების პროცესებსა და კრიტერიუმებს.

**აუდიტის კომიტეტი** – ახორციელებს დამოუკიდებელ მაკონტროლებელ ფუნქციას, რომელიც რეგულარულად განიხილავს შიდა კონტროლის პროცესებს; განიხილავს ბანკის შიდა კონტროლის სისტემას, აფასებს ინფორმაციის ობიექტურობას და სისწორეს, უზრუნველყოფს ზედამხედველობას ბანკის შიდა და გარე აუდიტორებზე. ამტკიცებს და რეკომენდაციებს უწევს საბჭოს ფინანსური აღრიცხვის პროცესის მონიტორინგის საკითხებში, განიხილავს შიდა კონტროლის და შიდა აუდიტის სისტემის ეფექტურობას. აუდიტის კომიტეტი საბჭოს წარუდგენს ყოველ კვარტალურ ანგარიშგებას ბანკის ძირითადი რისკების სტრატეგიის შესახებ და მონაწილეობს ამ სტრატეგიის მონიტორინგის გატარებაში. აკონტროლებს რეკომენდაციების შესრულებას, რომლებიც ეხმარება ბანკს შესაბამისობაში იყოს კანონმდებლობის ნორმებთან, მარეგულირებელი ორგანოს და შიდა პოლიტიკის მოთხოვნებთან. ძირითადი რისკები განისაზღვრება დირექტორატის მიერ, რაც შემდგომ გადაეცემა სამეთვალყურეო საბჭოს და განიხილება აუდიტის კომიტეტის მეშვეობით.

**დირექტორატი** პასუხისმგებელია ბანკის მართვაზე კანონმდებლობის, ბანკის წესდების და საკუთარი „დირექტორატის დებულების“ შესაბამისად. დირექტორატმა უნდა იზრუნოს სათანადო ბიზნეს გარემოს შექმნაზე, მათ შორის რისკების ეფექტურ მართვაზე.

**დირექტორატი:**

- ახორციელებს საქმიანობის დაგეგმვას და შესაბამისი რისკების იდენტიფიცირებას;
- უზრუნველყოფს უფლება-მოვალეობების სათანადოდ გამიჯვნას;
- უზრუნველყოფს სათანადო პროცედურების შემოღებას, მათ შორის (სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენამდე) ყველა პოლიტიკისა და პროცედურის საბოლოოდ განხილვას და დამტკიცებას;



- განსაზღვრავს ბანკის პერსონალის თანამდებობრივ პასუხისმგებლობებს.

რისკებზე საერთო ზედამხედველობის და მართვის უზრუნველსაყოფად, დირექტორატი ბანკში აყალიბებს კომიტეტებს და ფუნქციონალურ ერთეულებს, რომლის ფუნქციები მოყვანილია ამ ნაწილში.

#### **რისკების მართვის კომიტეტი.**

- ახორციელებს “ბაზისბანკის” რისკების პროფილის მონიტორინგს;
- ამტკიცებს ძირითადი რისკების კონტროლის ადეკვატურობის მოთხოვნას, მათ შორის, ამ რისკების შეფასებას, მონიტორინგსა და ლიმიტების მოთხოვნას;
- განიხილავს და ათანხმებს “ბაზისბანკის” მასშტაბით რისკების პროფილთან და რისკების მართვის სტრატეგიასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ქმედებებს;
- ბანკის შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების ეფექტურობის შეფასებას ახორციელებს შიდა აუდიტის სამსახურთან ერთად;
- განიხილავს შიდა და დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ ჩატარებული რისკების მართვის ტესტირების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
- პერიოდულად განიხილავს რისკის ლიმიტებს.

#### **აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი**

- ახორციელებს მიმდინარე და სამომავლო ლიკვიდობის პოზიციების განხილვას და ალტერნატიული დაფინანსების წყაროების დაგეგმვასა და მონიტორინგს;
- განიხილავს ვადიანობის/გადაფასების გრაფიკებს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დიდი ოდენობით აქტივებისა და პასივების ვადიანობის (გეპ-ს) განაწილებას;
- შეიმუშავებს დეპოზიტების, სესხებისა და ინვესტიციების ფასწარმოქმნისა და ვადიანობის განაწილების პარამეტრებს;
- შეიმუშავებს სათანადო ალტერნატიულ სტრატეგიებს, რომლებიც ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთებში და ტენდენციებში, სადეპოზიტო და საკრედიტო პროდუქტებში და შესაბამის ბაზრებზე, საბანკო რეგულაციებში და ა.შ. მომხდარ ცვლილებებს;
- ახორციელებს საწყისი აქტივ-პასივების მართვის მოდელებში გამოყენებული მონაცემების, დაშვებების ვალიდაციას და მიზანშეწონილობას, ასევე არსებული პროცესებისა და პროცედურების განხილვას;
- ამტკიცებს კონტრაგენტების რისკების ლიმიტების სტრუქტურას.

#### **საკრედიტო კომიტეტი**

- ახორციელებს პოტენციური კლიენტების ფინანსური მდგომარეობისა და მათი კრედიტის დაფარვის უნარიანობის შეფასებას;
- განიხილავს სასესხო განაცხადებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს კომიტეტისთვის გადაცემული უფლებამოსილებების ფარგლებში;



- მოქმედებს ბანკის ინტერესების შესაბამისად შიდა პოლიტიკისა და პროცედურების დაცვით;
- განიხილავს კრედიტებისა და სესხების ამოღების მეთოდებს სესხების დაზღვევისა და ამოღების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

**უფროსი რისკ-ოფიცერი** (“CRO”), დირექტორატის წევრია, და წარმოადგენს უმაღლესი რგოლის აღმასრულებელ პირს, რომელიც პასუხისმგებელია ბანკში საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების მართვაზე, ასევე რისკების საერთო კონტროლის განხორციელებაზე, რისკების აღრიცხვისა და გაზომვის სათანადო მეთოდოლოგიების შემუშავებასა და მუდმივ სრულყოფაზე; განსაზღვრავს, წარმართავს საწარმოო რისკების (Enterprise Risk Management, „ERM”) საერთო მიმართულებას, ხედვას და მართვას, აყალიბებს მართვის სტრუქტურებს, მათ შორის აწესებს ბანკის რისკების მადას (risk appetite). ეს პროცესი მოიცავს: რისკების შეფასებას და რაოდენობრივ განსაზღვრას; რისკის ლიმიტების დადგენას, აუცილებელი რისკის სისტემების და მკაფიო ხედვის ჩამოყალიბებას კომპანიის რისკის პროფილზე სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთათვის. ოფიცერს აქვს პირდაპირი და არა შეზღუდული კავშირი სამეთვალყურეო საბჭოსთან. ოფიცერი რეგულარულ ანგარიშებს წარადგენს საბჭოსადმი კომპანიის რისკის პროფილის თაობაზე, გარკვეული რისკისადმი მიდრეკილებაზე, მნიშვნელოვან შიდა და გარე მოვლენებზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ბანკის რისკების პოზიციებზე.

### **რისკის მართვის დეპარტამენტი**

- ახორციელებს სხვადასხვა გარიგებებთან, თუ ოპერაციებთან დაკავშირებული საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების შეფასებას და შეიმუშავებს წინადადებებს სტრუქტურაში, პროცედურასა და დებულებაში შესატანი აუცილებელი ცვლილებების შესახებ;
- ახორციელებს საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების მართვას;
- შეიმუშავებს რისკების სტრატეგიის დოკუმენტს და უზრუნველყოფს ამ პროცესში რისკების პასუხისმგებელი სტრუქტურის მონაწილეობას;
- უზრუნველყოფს რისკების შემცირების, განსაკუთრებით საკრედიტო რისკის მართვის მეთოდების შემუშავებას და დანერგვას;
- ახდენს სესხების გაცემების ეფექტურობის შეფასებას;
- ბანკის ყველა პოლიტიკა პროცედურის შეფასება აღმასრულებელი საბჭოს მიერ მის განხილვამდე.

### **რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება**

ბანკის საკრედიტო სტრატეგიაა დივერსიფიცირებული და მომგებიანი სასესხო პორტფელის შექმნა და ამავე დროს პორტფელის მაქსიმალურად მაღალი ხარისხის შენარჩუნება. ბანკის მიერ შემუშავებული დაკრედიტების სათანადო პროცედურები და წესები სწორედ უზრუნველყოფს ჯანსაღი პორტფელის შექმნასა და შენარჩუნებას.



საკრედიტო რისკის შეფასებისა და შემცირების მიზნით, “ბაზისბანკი” ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

- **საკრედიტო რისკის მართვის სათანადო ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა.** “ბაზისბანკში” ეს მიიღწევა შემუშავებული საკრედიტო პოლიტიკისა და სხვა სახელმძღვანელო ინსტრუქციების მეშვეობით, რომლებიც ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორცაა მიზნობრივი სეგმენტები, პორტფელის სტრუქტურა, პორტფელის ფასიანობა და სხვა პირობები, ლიმიტების სტრუქტურა, კრედიტის გაცემის/დამტკიცების ლიმიტები და უფლებამოსილი რგოლები, გამონაკლისების მართვა, ავტორიზაციის უფლებები, ანგარიშგების საკითხები.
- **ფუნქციონირება კრედიტის გაცემის ჯანსაღი პროცესის შენარჩუნებით.** “ბაზისბანკი” კრედიტის გაცემისას ითვალისწინებს რამდენიმე ელემენტს. კრედიტის შესაძლო დანაკარგის და ვადიანობის გათვალისწინებით ეს ელემენტები მოიცავს სხვადასხვა ფაქტორებს, როგორებიცაა: კრედიტის აღების მიზანი, გადახდის წყაროები, მსესხებლის ან სხვა დაკავშირებული მხარის საკრედიტო პროფილი, მსესხებლის მგრძობელობა ეკონომიკური და საბაზრო ცვლილებებისადმი, მსესხებლის გადახდების ისტორია და გადახდისუნარიანობის მიმდინარე შესაძლებლობა მოცემულ ისტორიულ ფინანსური განვითარების და სამომავლო ზრდის ტენდენციების გათვალისწინებით. საკრედიტო ანალიზის ჩატარებისას დიდი ყურადღება ექცევა მსესხებლის კვალიფიკაციას ბიზნეს საქმიანობაში, ეკონომიკის რომელ სექტორში ფუნქციონირებს იგი და რა პოზიციას იკავებს სექტორში. ეს ელემენტები გათვალისწინებულია, როგორც კორპორატიული სესხის, ასევე საცალო სესხის შემთხვევაში.
- **კრედიტის ადმინისტრირების, შეფასებისა და მონიტორინგის სათანადო სისტემების დანერგვა.** - ცალკეული მსესხებლის მდგომარეობის შეფასება უნდა ხდებოდეს ამ მსესხებელთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების, ფინანსური პარამეტრების მულტივი მონიტორინგის გზით. ეს საკითხები მოიცავს მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობის, დადგენილი ფინანსური პარამეტრების და კოეფიციენტების დაცვას, დაფარვის კოეფიციენტი მსესხებლის მიმდინარე ვლდეულებებთან, გადახდის გარეფიკების დარღვევებს. გარდა ამისა, რისკის კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით, ითვალისწინებს კონკრეტული ტიპის მსესხებლებთან მიმართებით საკრედიტო პორტფელში არსებული კონცენტრაციის მონიტორინგს. ამგვარი კონცენტრაციები ხდება მაშინ, როცა ერთ კონტრაგენტზე, ურთიერთდაკავშირებული პირების მსესხებელთა ჯგუფზე ან მრეწველობის ან ეკონომიკის კონკრეტულ სექტორზე გაიცემა დიდი მოცულობის სესხები ან ვალდებულებები. და ბოლოს, “ბაზისბანკი” იყენებს და დამატებით შეიმუშავებს კრედიტის ადმინისტრირების, შეფასებისა და მონიტორინგის სათანადო პროცედურებს, რომლებიც სტრეს-ტესტირების პროცესში ითვალისწინებს ზოგიერთ საკვანძო მომენტს, რაც ბანკს დაეხმარება შეაფასოს ის რისკები, რომელიც ეკონომიკაში მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად შეიძლება უარყოფითად აისახოს ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხზე, და რამდენად შეძლებს გაუძლოს ამ ცვლილებებით გამოწვეულ ზეწოლას.
- **პორტფელის ხარისხის სათანადო ანგარიშგების მექანიზმის არსებობა:** საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულ პორტფელის ხარისხზე და დაკრედიტების ლიმიტებზე მულტივი კონტროლი ხორციელდება რისკების დეპარტამენტის შესაბამისი რგოლის მიერ, რომელიც რეგულარულად ახდენს მონიტორინგს და შესაბამის ანგარიშგებას წარუდგენს ბანკის მენეჯმენტს პორტფელი რამდენად შეესაბამება ბანკის საკრედიტო პოლიტიკით მოთხოვნილ ხარისხს და ლიმიტებს. პორტფელის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას სარეიტინგო კლასების მიხედვით პორტფელის განაწილებაზე, ვადაგადაცილებების რაოდენობაზე, სექტორების მიხედვით შესაძლო დანაკარგის რეზერვზე და HHI ინდექსს; PD, LGD მაჩვენებლების დინამიკას და სხვა.



- **ნარჩენი ღირებულების რისკი Residual risk.** უზრუნველყოფის პოტენციური ნარჩენი ღირებულების რისკის შემცირების მიზნით, ბანკი დაკრედიტების დროს და პორტფელის მართვის დროს უზრუნველყოფის გადაფარვის გაანგარიშებისას იყენებს საბაზრო ღირებულების/უზრუნველყოფის ღირებულების დისკონტირების მეთოდებს. იურიდიული დეპარტამენტი პერმანენტულად განიხილავს უზრუნველყოფის ხელშეკრულების შაბლონს და იმ შემთხვევაში თუ მოხდა რეგულაციების ცვლილება ან გირაოს აღსრულებისას მიღებული გამოცდილების შესაბამისად ახდენს ხელშეკრულების შაბლონის ცვლილებას. მინიმალური უზრუნველყოფის გადაფარვა ( არაუზრუნველყოფილი პორტფელის მაქსიმალური თანხა) საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით განისაზღვრება თითოეული კლიენტისთვის და იყენებს დისკონტირებულ ღირებულებას.
- **სტრეს ტესტირება.** ბანკი რეგულარულად წარმოადგენს სტრეს ტესტებს, რათა დააკვირდეს არასასურველი მიკრო/მაკრო პირობების გავლენას საზედამხედველო კაპიტალის ბუფერზე. სტრეს ტესტები სხვა მოვლენებთან ერთად ფარავს ფართო ეკონომიკურ მოვლენებს - კრიზისებს, სავალუტო კურსების ცვალებადობის გავლენას, დასაქმების დონის შემცირებას, სექტორისთვის სპეციფიკურ სტრეს ტესტებს, საექსპორტო ბაზრის ჩაქეცვა (პოლიტიკური რისკი), რამდენიმე მსხვილი მსესხებლის გაკოტრება.

**ლიკვიდობის რისკი** – ბაზისბანკი ლიკვიდობის რისკის მართვას ახდენს აქტივებზე პასივების მართვის (ALM) პოლიტიკის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს დეტალური მართვის პროცესს და დასაშვებ ზღვრებს (ლიმიტები ვადიანობის გეპ-ზე, LCR, NSFR და ა.შ.). ბაზისბანკი მიჰყვება ბაზელ III-ის ლიკვიდობის მართვის მეთოდოლოგიას და სხვა შიდა რისკის შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან.

ლიკვიდობის მართვის პროცესი ძირითადად მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ლიკვიდობის მოთხოვნების დადგენა და შეფასება; ლიკვიდობის მოთხოვნები განისაზღვრება აქტივ-პასივების სტრუქტურისა და ბაზრის მდგომარეობის მუდმივი შეფასებით.
- ლიკვიდობის პოზიციების ლიმიტების დადგენა, ფონდების სტრუქტურის, ვადიანობის გეპ-ის და რესურსების მოზიდვის შეფასებიდან გამომდინარე;
- ლიკვიდობის მართვისა და ფონდების ეფექტურად გამოყენებისათვის შესაბამისი პრინციპების დანერგვა;
- ლიკვიდობის პროგნოზი - სტაბილური ბიზნეს პროცესისა და სტრესის პირობებში;
- სტრესულ სიტუაციებში წარმოშობილი ლიკვიდობის დეფიციტის აღმოფხვრის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

**საბაზრო რისკი** - საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო რისკს და გაცვლითი კურსის რისკს. ბანკი საკუთარი ბიზნეს საქმიანობის გასახორციელებლად დაფინანსებას ძირითადად იღებს უცხოურ ვალუტაში, იმისათვის რომ მოხდეს გაცვლითი კურსის რისკის შემცირება მომხმარებლებისთვის სესხების შეთავაზება ძირითადად მიმდინარეობს უცხოურ ვალუტაში. აგრეთვე, შესაძლოა გამოყენებულ იქნას სავალუტო სვოპები, ფორვარდები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები. საბაზრო რისკის შეფასებისა და მართვისთვის ბაზისბანკი აქტიურად იყენებს შემდეგ მეთოდებს:

- ზედამხედველობის განხორციელება მენეჯმენტის მიერ. უფროსი მენეჯმენტი აკონტროლებს საბაზრო რისკის მართვისთვის შემუშავებული პოლიტიკას, პროცედურების ეფექტურობას, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პერიოდებისთვის. საბაზრო რისკის ეფექტური



ზედამხედველობა ამავდროულად გულისხმობს დასაშვები საბაზრო რისკის ზედა ზღვრების დაცვას და საბაზრო რისკის შეფასებისა და გაზომვის ადეკვატური მეთოდების შემუშავებას.

- საბაზრო რისკის შეფასება, მონიტორინგი და მართვა. აქტიურად ხდება გამოყენება სხვადასხვა მეთოდებისა, მათ შორის: გადაფასების გეპ-ის ანალიზი, დურაციის გეპ-ის, სხვადასხვა VaR ანალიზი და.ა.შ.

**საოპერაციო რისკი** - საოპერაციო რისკის შეფასება და მართვა ეფუძნება განსხვავებულ მიდგომას. საოპერაციო რისკი განისაზღვრება როგორც ფინანსური დანაკარგი წარმოშობილი არაადეკვატური შიდა პოლიტიკის, სისტემური შეცდომის, ადამიანური შეცდომის, მენეჯმენტის შეცდომისა და ბუნებრივი კატასტროფის შედეგად. საოპერაციო რისკის შეფასებისა და მართვისთვის ბაზისბანკი იყენებს შემდეგ პროცესებს:

- საოპერაციო რისკის ეფექტური მართვისთვის შესაბამისი გარემოს განვითარება. რისი მიღწევაც შესაძლებელია საოპერაციო რისკების შიდა ანგარიშგებისა და ეფექტური მართვის საშუალებით.
- რისკის რუქები. ბაზისბანკის საოპერაციო რისკების პოლიტიკა უზრუნველყოფს მეთოდოლოგიას რისკების იდენტიფიკაციის, შეფასების, მართვისა და შერბილებისთვის.
- საოპერაციო რისკების იდენტიფიკაცია, შეფასება, მონიტორინგი და შერბილება. აღნიშნული, მოიცავს საოპერაციო რისკების კონტროლისთვის შექმნილი გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. რასაც, თავის მხრივ უზრუნველყოფს დამოუკიდებელი შიდა აუდიტი კომპეტენტურ თანამშრომლებთან ერთად.
- ბიზნეს უწყვეტობის მოდელი. ბანკს დანერგილი აქვს ბიზნეს უწყვეტობის მოდელი რათა კრიზისული ვითარებების დროს უზრუნველყოს ბიზნეს პროცესის შეუფერხებლად ფუნქციონირება და შესაძლო დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანა.

ბანკი დოკუმენტში დამატებით აფასებს სხვა რისკებსაც, რომლის წინაშეც შესაძლოა ბანკი დადგეს. რამდენიმე ასეთი რისკი განხილულია ქვემოთ:

**ბიზნეს რისკი** - ნიშნავს შემოსავლებსა და კაპიტალზე მიმდინარე და მოსალოდნელ რისკებს, რაც შესაძლოა წარმოიშვას ბიზნეს გარემოდან და არასასურველი ბიზნეს გადაწყვეტილებებიდან.

- მიმდინარე ან მოსალოდნელი რისკი განიმარტება, როგორც შემოსავლების ან კაპიტალის შესაძლო შემცირება სამოქმედო გარემო პირობების ცვლილებებიდან, არასწორი კორპორატიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე; ასევე, გადაწყვეტილებების არასწორად განხორციელებით, ან კონკურენტულ გარემოში ცვლილებებზე არასწორი რეაგირებით.

**ქვეყნის რისკი** - გულისხმობს შესაძლო დანაკარგს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ქვეყნისთვის სპეციფიკური მოვლენის (ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა მოვლენა, რომელიც შეიძლება გაკონტროლდეს ქვეყნის მთავრობის მიერ და არა საკრედიტო ინვესტორის მიერ) ფონზე. ქვეყნის რისკის მართვის პოლიტიკის შემოღებით ბანკმა დანერგა ზღვრული სისტემა, რომ განსაზღვროს ქვეყნის რისკიდან წარმოშობილი შესაძლო ზარალი, რაც ეფუძნება ქვეყნის გარე რეიტინგებს.

**მართვა, სისტემები და რისკის კონტროლი** – შეფასებულია და გაზომილია სხვადასხვა პროცესების საშუალებით (კორპორატიული მართვის სტრუქტურის შეფასება, რისკის მართვის შიდა სისტემები და კონტროლის ფუნქციები).

**რეპუტაციული რისკი** - შესაძლოა წარმოიშვას ინდუსტრიის სტანდარტებთან შეუსაბამოს შემთხვევაში, ვალდებულებების შეუსრულებლობისას, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების არქონისას და შესაბამისი საბაზრო გამოცდილების (პრაქტიკის) ნაკლებობის დროს, დაბალი ან ცუდი ხარისხის მომსახურების გაწევისას, რომელიც არ შეესაბამება ბაზრის და მომხმარებლის მოთხოვნებს,



შეუსაბამოდ მაღალი ხარჯების, შეუსაბამო ბიზნეს ქცევის გამო, ან მმართველობის მხრიდან მიუღებელი შეხედულებების და ქმედებების საფუძველზე.

ბანკი მოწოდებულია, რომ ჰქონდეს სრულყოფილი რისკის მართვის პროცესი, რომელიც ეფექტიანად გამოავლენს, გაზომავს, აკვირდება და აკონტროლებს რისკის ყველა შესაძლო გამოვლინებას. რამდენადაც ბანკი მიზნად ისახავს აირიდოს შემოსავლების მაღალი არასტაბილურობა, მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი კონკურენტული გარემო პირობების ცვლილებებზე არასათანადო რეაგირება და/ან არასწორი კორპორატიული გადაწყვეტილებები, რასაც ხელს შეუწყობს ბანკის ადეკვატური, კარგად ჩამოყალიბებული ბიზნესის სტრატეგიული განვითარების სისტემა და back-testing მეთოდოლოგიით.



## ანაზღაურების პოლიტიკა

ანგარიშგება კომპენსაციაზე შეიცავს სს “ბაზისბანკის” უმაღლესი მენეჯმენტის და სხვა მატერიალური რისკების ამღები პირების 2017 წლის კომპენსაციის დეტალურ ინფორმაციას.

ბანკი უმაღლეს მენეჯმენტად მიიჩნევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორები.

- სამეთვალყურეო საბჭო
  - ✓ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
  - ✓ სამეთვალყურეო საბჭოს თანა-თავმჯდომარე
  - ✓ სამეთვალყურეო საბჭოს თანა-თავმჯდომარე
  - ✓ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
  - ✓ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- დირექტორატი
  - ✓ გენერალური დირექტორი
  - ✓ გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები
  - ✓ გენერალური დირექტორის მოადგილე, საცალო ბიზნესი
  - ✓ გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მართვა და ინფორმაციული ტექნოლოგიები
  - ✓ გენერალური დირექტორის მოადგილე, დაკრედიტება

### ფიქსირებული ანაზღაურების განსაზღვრა

სამეთვალყურეო საბჭო, როგორც უმაღლესი ორგანო, გადაწყვეტილებას იღებს, როგორც დირექტორატის, ასევე საკუთარი კომპენსაციების თაობაზე. დირექტორატის წევრების ფიქსირებული ანაზღაურების მატების თაობაზე სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად იღებს გადაწყვეტილებას.

კომპენსაციის სისტემის ჩამოყალიბებასა და ინდივიდუალური კომპენსაციის განსაზღვრისას მრავალი ფაქტორის გათვალისწინება ხდება. აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატის წევრები იღებენ გადაწყვეტილებას ფიქსირებული ანაზღაურების თაობაზე.

საკომპენსაციო სისტემა და სტრუქტურა ასახულია უმაღლესი მენეჯმენტის წევრების ინდივიდუალურ კონტრაქტებში.

### ცვლადი ანაზღაურების განსაზღვრა

ბონუსი არის ბანკის მიერ დირექტორისათვის გადასაცემი დამატებითი გასამრჯელო კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის. ბონუსის განსაზღვრა წინა საანგარიშგებო წლის ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე ხდება, რომელიც დადასტურებულია გარე აუდიტის მიერ (იგულისხმება მხოფლიოს ოთხი უმსხვილესი საერთაშორისო აუდიტორული კომპანია) გაცემული დასკვნით. უმაღლესი მენეჯმენტის საბონუსე სისტემა მოიცავს როგორც ფულადი სახის კომპენსაციას, ასევე აქციებზე დაფუძნებულ განაცემებს.

ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი მენეჯმენტის საბონუსე სქემასთან, აღიარებულია საანგარიშო პერიოდში. იხილეთ ცხრილი 24/27 დანართი 2.



**ფინანსური წლის განმავლობაში მინიჭებული ანაზღაურება**

		დირექტორატი	სამეთვალყურეო საბჭო
ფიქსირებული ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	5	3
	მთლიანი ფიქსირებული ანაზღაურება	783,843	172,500
	მათ შორის: ფულადი ფორმის	783,843	172,500
	მათ შორის: გადავადებული	0	
	მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები		
	მათ შორის: გადავადებული		
	მათ შორის: სხვა ფორმის		
	მათ შორის: გადავადებული		
ცვალეზადი ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	5	
	მთლიანი ცვალეზადი ანაზღაურება	1,478,917	0
	მათ შორის: ფულადი ფორმის	828,917	
	მათ შორის: გადავადებული	650,000	
	მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები	650,000	
	მათ შორის: გადავადებული	650,000	
	მათ შორის: სხვა ფორმის	0	
	მათ შორის: გადავადებული	0	
სულ ანაზღაურება		2,262,760	172,500

**აქციებზე დაფუძნებული კომპენსაცია**

2013 წლის ივლისში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის საბონუსე სისტემა და 2013 – 2014 წლების განმავლობაში შესაბამისად გასცა 73,000 ცალი ახალი აქცია უმაღლესი მენეჯმენტის წევრებზე. დამტკიცებული სქემის მიხედვით, წინასწარ განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, აქციების გარკვეული რაოდენობა გადაეცემა მენეჯმენტის წევრებს. გადასაცემი აქციების საერთო რაოდენობა დამოკიდებულია გუნდის მიზნებსა და აქციის საბალანსო ღირებულებაზე, შედეგების შეფასება ხდება წინა საანგარიშგებო წლის IFRS სტანდარტის შესაბამისად მომზადებულ აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.

გუნდის მიზნების შესრულება, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება მომგებიანობისა და ზრდის მაჩვენებლებით, რომლებიც დადგენილია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ამასთან, დაცული უნდა იყოს ნორმატიული კოეფიციენტები და გარკვეული შეთანხმებები, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

გასაცემი აქციები ატარებენ განსაზღვრულ პირობებს. აღნიშნული პირობების დაკმაყოფილებამდე აქციებს გააჩნიათ მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლება, მაგრამ არ გააჩნიათ ხმის მიცემის უფლება და არ ექვემდებარებიან გასხვისებას ან გადაცემას მესამე პირზე.

ხსენებული პირობები ითვალისწინებს უწყვეტ დასაქმებას, იმ პერიოდის განმავლობაში სანამ არ დასრულდება სქემაში მონაწილეებისათვის აქციებზე უფლების სრული გადაცემა.

ზემოთ აღნიშნული აქციები განადგობილი იქნა 2016 წლის ივლისში და მასზე მოხსნილია ყოველგვარი შეზღუდვები.



აქციების მინიჭების თარიღია 2013 წლის 26 ივლისი, ამ თარიღისთვის აქციის სამართლიანი ღირებულება შეადგენდა 7,85 ლარს, ფასი დადგინდა ბანკის ყოფილ აქციონერსა და ამჟამინდელ მესაკუთრეს შორის განხორციელებული ტრანზაქციის დროს დაფიქსირებული აქციის ღირებულებიდან გამომდინარე, მენეჯმენტის შეფასებაზე დაყრდნობით. აქციების ყიდვა-გაყიდვის გარიგება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ჩვეულებრივი გარიგება სურვილის მქონე და ბაზართან არა დაკავშირებულ მონაწილეებს შორის.

2015 წლის აპრილში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ ბანკის უმაღლესი მენეჯმენტისთვის დაამტკიცა ახალი საბონუსე სქემა და გამოუშვა 71,000 ახალი აქცია, სქემა მოქმედებს 2015-2016 წლების პერიოდში.

აქციებს გააჩნიათ დივიდენდის მიღების უფლება, მაგრამ არ გააჩნიათ ხმის უფლება და აგრეთვე გასხვისების ან მესამე პირზე მიყიდვის უფლება განსაზღვრული პირობების შესრულებამდე.

2015 წელს გაცემულ აქციებზე 2016 წლის ივლისში მოხსნა ყველანაირი შეზღუდვა და სრულად იქნა განაღდებული.

2016 წლის ტრანზაქციები გამოიცა 2017 წლის 27 ივლისს. აღნიშნული აქციები, გადაცემის შემდგომ გარკვეული პერიოდით შეზღუდვას ექვემდებარება, შეზღუდვის მოხსნა მოხდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი სრულდება 2019 წლის ივლისში და სრულ მფლობელობაში გადაეცემა აქციების 50% , ხოლო მეორე ეტაპი სრულდება 2022 წლის 1 ივლისს და აქციების დარჩენილი ნაწილიც განაღდება.

ბანკი 2015 წლის 8 აპრილს მიიჩნევს გადაცემის თარიღად. ერთი აქციის სამართლიანი ღირებულება გადაცემის დღისთვის შეფასდა 11.34 ლარად.

2017 წლის მარტში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ახალი საბონუსე სქემა უმაღლესი მენეჯმენტისთვის, სქემა მოქმედებს 2017-2021 წლების განმავლობაში. ამ მიზნით გამოშვებულია 169,000 ცალი ახალი აქცია და ატარებს მომსახურების პირობებს.

ჯგუფი მიიჩნევს 2017 წლის 27 მარტს გადაცემის თარიღად. ერთი აქციის სამართლიანი ღირებულება აღნიშნული დღისთვის შეფასდა 12.55 ლარად.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა თითო აქციის ფასის საფუძველზე, რომელიც დადგინდა ბანკის ყოფილი მესაკუთრის და ახლანდელ ძირითად აქციონერს შორის აქციების შეფასების შედეგად. შეფასებაზე დაყრდნობით, აქციების ყიდვა-გაყიდვის გარიგება შეიძლება განხილოს როგორც ჩვეულებრივი გარიგება სურვილის მქონე მონაწილესა და ბაზართან არადაკავშირებულ მონაწილეებს შორის.

IFRS სტანდარტების მიზნებისთვის პერსონალის ხარჯი, დაკავშირებული აქციებზე დაფუძნებულ გადახდის სქემის წილობრივ ინსტრუმენტებთან, აღიარებული უნდა იყოს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოგება-ზარალის ანგარიშში წრფივი მეთოდით და შესაბამისი ჩანაწერი გაკეთდება კაპიტალის აქციებზე დაფუძნებულ გადახდების რეზერვში.

აქციებზე დაფუძნებულ ახალი სქემის მიხედვით მენეჯმენტის აქციები ასევე ექვემდებარება შეზღუდვას და დირექტორების მიერ შემენის დღიდან ორი წლის განმავლობაში ("ბლოკირების პერიოდი") ვერ მოხდება მათი რეალიზაცია. ბლოკირების პერიოდის გასვლის შემდგომ, დირექტორების მფლობელობაში მყოფი აქციების ნახევარი შეიძლება გაყიდულ იქნას. დირექტორების



საკუთრებაში მყოფი ყველა მენეჯმენტის აქცია შეიძლება გადაცემულ იქნას მხოლოდ დირექტორის გადადგომის შემდეგ.

დირექტორატის წევრთა შრომის ანაზღაურება წილობრივ აქციებზე დაფუძნებული გადახდების ნაწილში განსხვავებულია ლოკალური NBG-ის და IFRS სტანდარტების მიხედვით. 24 ცხრილში (იხილეთ დანართი 2) პილარ 3-ის კვარტალურ ანგარიშგებაში. განხილული ანაზღაურების სექმა ეფუძნება ლოკალური აღრიცხვის სტანდარტებს.

პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშგება		
1	ბანკის სრული დასახელება	სს "ბაზისბანკი"
2	ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	ჯანგ ქუნი
3	ბანკის გენერალური დირექტორი	დავით ცაავა
4	ბანკის ვებ-გვერდი	www.basisbank.ge

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის აპრილის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს.

ცხრილი N	სარჩევი
1	<a href="#">ტირითადი მაჩვენებლები</a>
2	<a href="#">საბალანსო უწყისი</a>
3	<a href="#">მოგება-ზარალის ანგარიშგება</a>
4	<a href="#">ბალანსგარეშე ანგარიშების უწყისი</a>
5	<a href="#">რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები</a>
6	<a href="#">ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ</a>
7	<a href="#">აქტივებსა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ საბალანსო ელემენტებს შორის კავშირები</a>
8	<a href="#">საბალანსო ელემენტების ღირებულებასა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ რისკის პოზიციებს შორის განსხვავებები</a>
9	<a href="#">საზედამხედველო კაპიტალი</a>
10	<a href="#">საბალანსო უწყისისა და საზედამხედველო კაპიტალის ელემენტებს შორის კავშირები</a>
11	<a href="#">საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები</a>
12	<a href="#">საკრედიტო რისკის მიტიგაცია</a>
13	<a href="#">სტანდარტიზებული მიდგომა – საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტი</a>
14	<a href="#">ლიკვიდობის გადართვის კოეფიციენტი</a>
15	<a href="#">კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები</a>

ცხრილი 1 მირითადი მაჩვენებლები

N		T	T-1	T-2	T-3	T-4
<b>საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)</b>						
<b>ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით</b>						
1	მირითადი პირველადი კაპიტალი	175,637,524	169,458,840	166,052,814	160,086,841	154,546,328
2	პირველადი კაპიტალი	175,637,524	169,458,840	166,052,814	160,086,841	154,546,328
3	საზედამხედველო კაპიტალი	187,027,072	179,135,509	176,539,448	170,292,977	163,769,921
<b>რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (მოცულობა, ლარი)</b>						
4	რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	980272025 *	1,106,457,925	1,051,305,468	1,028,969,023	1,026,124,034
5	რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ბაზელ I-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	1,127,425,687	994,813,623	935,357,031	909,302,014	896,316,417
<b>კაპიტალის კოეფიციენტები</b>						
<b>ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით</b>						
6	მირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 7.0 %)	17.92% *	15.32%	15.79%	15.56%	15.06%
7	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 8.5 %)	17.92% *	15.32%	15.79%	15.56%	15.06%
8	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 10.5 %)	19.08% *	16.19%	16.79%	16.55%	15.96%
<b>ბაზელ I-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით</b>						
9	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 6.4 %)	13.84%	15.69%	16.63%	17.14%	15.35%
10	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 9.6 %)	16.21%	18.01%	18.87%	18.73%	18.27%
<b>მოგება</b>						
11	მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	7.49%	7.53%	7.81%	7.82%	8.31%
12	მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	3.20%	3.11%	3.09%	3.07%	3.42%
13	საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	3.33%	3.31%	3.79%	3.90%	4.11%
14	წმინდა საპროცენტო მარჟა	4.29%	4.41%	4.72%	4.75%	4.88%
15	უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	1.91%	2.37%	3.14%	3.51%	2.67%
16	უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	11.04%	13.06%	16.45%	18.74%	13.16%
<b>აქტივების ხარისხი</b>						
17	უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	4.02%	4.46%	3.95%	3.75%	4.13%
18	სმდრ / მთლიან სესხებთან	4.26%	4.39%	4.48%	4.43%	4.60%
19	უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	70.24%	68.31%	69.14%	70.24%	71.32%
20	უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	63.64%	63.26%	59.09%	62.04%	60.80%
21	მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	42.20%	27.05%	10.40%	7.18%	19.80%
<b>ლიკვიდობა</b>						
22	ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	33.06%	36.56%	28.97%	30.47%	27.80%
23	უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	77.70%	77.10%	76.93%	79.57%	76.63%
24	მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	31.95%	22.83%	24.45%	27.46%	25.60%
<b>ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი **</b>						
25	მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	364,002,821	X	X	X	X
26	ფულის წმინდა გადინება (სულ)	256,930,199	X	X	X	X
27	ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	142%	X	X	X	X

საბანკო სექტორის ცვლილებების მიხედვით და გასულ კვარტალს მთლიან გასაყველად რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების დათვლის მეთოდოლოგიის ცვლილებით, კერძოდ "სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები" აღარ მონაწილეობს რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების გაანგარიშებაში. აღნიშნული აისახა კაპიტალის ბუფერის მოთხოვნებში პილარ 2-ის ფარგლებში. იხ. ცვლილებების შესახებ ოფიციალური პრეს რელიზი შემდეგ ბმულზე:  
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3248>  
\*\* სეი-ის მეთოდოლოგიით გააფართოვებული კოეფიციენტი, ოთხეული იაფელი იეთოდოლოგიისგან განსხვავებით, უფრო მეტადაა კონცენტრირებული ლოკალურ რისკებზე. იხილეთ ცხრილი 14. LCR. აღნიშნული წარმოადგენს კომერციული ბანკებისათვის სავალდებულოდ დასაცავ მოთხოვნას, ხოლო ბაზელის მეთოდოლოგიით დათვლილი მონაცემები წარმოდგენილია საილუსტრაციო მიზნებისათვის.

ბანკი: სს "ბაზისბანკი"

თარიღი:

31.12.2017

ცხრილი 2

საბალანსო უწყისი

ლარებით

N	აქტივები	საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესაბამისი პერიოდი		
		ლარი	უცხ.ვალუტა	სულ	ლარი	უცხ.ვალუტა	სულ
1	ნადი ფული	13,466,564	17,981,244	31,447,808	9,927,208	14,109,851	24,037,059
2	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	15,049,682	143,643,443	158,693,125	9,136,366	105,421,393	114,557,758
3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	404,977	81,304,581	81,709,557	27,730,306	10,465,059	38,195,364
4	ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	0	0	0	0	0	0
5	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	141,586,514	0	141,586,514	125,909,921	0	125,909,921
6.1	მთლიანი სესხები	234,050,730	552,533,534	786,584,264	158,642,811	394,515,809	553,158,620
6.2	მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-6,292,262	-27,194,909	-33,487,171	-4,849,719	-20,597,551	-25,447,270
6	წმინდა სესხები	227,758,468	525,338,625	753,097,093	153,793,092	373,918,258	527,711,350
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	3,884,787	2,651,704	6,536,491	3,281,996	2,097,699	5,379,695
8	დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	5,440,010	0	5,440,010	4,448,487	0	4,448,487
9	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	4,362,705	0	4,362,705	3,859,355	0	3,859,355
10	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	23,148,756	0	23,148,756	22,171,027	0	22,171,027
11	სხვა აქტივები	5,598,429	428,193	6,026,622	2,492,715	56,615,061	59,107,777
12	<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>440,700,891</b>	<b>771,347,789</b>	<b>1,212,048,680</b>	<b>362,750,473</b>	<b>562,627,321</b>	<b>925,377,793</b>
	<b>ვალდებულებები</b>						
13	ბანკების დეპოზიტები	14,001,144	15,954,620	29,955,765	12,501,144	10,587,200	23,088,344
14	მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)	79,713,776	112,187,911	191,901,688	58,412,276	82,074,968	140,487,244
15	მოთხოვნამდე დეპოზიტები	51,426,159	143,933,723	195,359,883	29,801,747	66,565,833	96,367,580
16	ვადიანი დეპოზიტები	41,506,104	251,124,480	292,630,584	26,923,002	294,742,116	321,665,118
17	საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები			0			0
18	ნასესხები სახსრები	30,009,415	267,537,009	297,546,424	41,020,092	119,549,868	160,569,960
19	დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	680,361	6,845,784	7,526,145	1,090,172	5,838,931	6,929,104
20	სხვა ვალდებულებები	11,648,164	379,781	12,027,945	7,401,711	1,391,870	8,793,581
21	სუბორდინირებული ვალდებულებები	0	0	0	0	0	0
22	<b>მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>228,985,125</b>	<b>797,963,309</b>	<b>1,026,948,433</b>	<b>177,150,145</b>	<b>580,750,787</b>	<b>757,900,932</b>
	<b>სააქციო კაპიტალი</b>						
23	ჩვეულებრივი აქციები	16,096,897	0	16,096,897	16,057,277	0	16,057,277
24	პრივილეგირებული აქციები	0	0	0	0	0	0
